პროგრამის სახელწოდება: სახერხი ჩარხის მართვა

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: 4

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 12

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20 სთ.

სულ საკონტაქტო საათების რაოდენობა - 240 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური -5 მაქსიმალური -10

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- სრული ზოგადი განათლება
- ჯანმრთელობის ცნობა ფორმა 100

პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია მოამზადოს სახერხი ჩარხის ოპერატორები და შესძინოს მათ საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, ასევე სათანადო კომპეტენცია, რათა შეძლონ პროფესიული საქმიანობის წარმატებულად განხორციელება. კერძოდ, იცოდნენ ხის სახეობების, დეფექტების, ხის ხარისხისა და ზომის კლასების განსაზღვრა, სახერხი საწარმოს ტექნოლოგიების აღწერა, ლენტური და ცირკულარული სახერხი ჩარხების მუშაობის პრინციპების აღწერა. ასევე, შეძლონ შრომის უსაფრთხოების წესების დაცვით სამუშაო გარემოს ორგანიზება, სახერხი ჩარხის აპარატისა და ინსტრუმენტების გამოყენება, მართვა და მორების დახერხვა.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. შრომის უსაფრთხოების წესების დაცვით სამუშაო გარემოს ორგანიზება;
2. ხის სახეობების, დეფექტების, ხის ხარისხისა და ზომის კლასების განსაზღვრა;
3. სახერხი საწარმოს ტექნოლოგიების აღწერა;
4. ლენტური და ცირკულარული სახერხი ჩარხების მუშაობის პრინციპების აღწერა;
5. სახერხი ჩარხის აპარატისა და ინსტრუმენტების გამოყენება და მართვა;
6. მორების დახერხვა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროფესიული მომზადების პროგრამა „სახერხი ჩარხის მართვა„ შემუშავებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს სახერხი ჩარხის ოპერატორისთვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების გამომუშავებას. პროგრამის კურსდამთავრებული აღჭურვილი იქნება ყველა იმ აუცილებელი ცოდნითა და უნარით, რაც სახერხი ჩარხის აპარატის მართვისა და მორების ხერხვისთვის არის საჭირო. პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 12 კვირას, კვირაში 20 საათის ოდენობით, ჯამში პროგრამის მოცულობა 240 საათია.

პროფესიული მომზადების პროგრამა განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით. კერძოდ, პროგრამის ბოლო სწავლის შედეგი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე, პარტნიორ ორგანიზაციაში "შპს ახალციხის შპალ-საჟღენთი ქარხანა", რომელსაც გააჩნია მორების სამხერხაო.

პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება ინტერაქციული ლექციის, დემონსტრირებისა და პრაქტიკული მეცადინეობის გზით. პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელების შეფასებისთვის გამოყენებული იქნება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. მიმდინარე (განმავითარებელი შეფასება) პრაქტიკულად ყოველ მეცადინეობაზე განხორციელდება, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება განხორციელდება ორჯერ, რომლის დროსაც შეფასდება მსმენელების თეორიული ცოდნა (ტესტირება) და პრაქტიკული უნარები (პრაქტიკული დავალება დაკვირვებით).

პროფესიული მომზადების პროგრამის დასრულების შემდეგ, მსმენელებს გადაეცემათ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები და შეეძლება დასაქმება მორების სამხერხაოსა და გადამამუშავებელ საწარმოში ან თვითდასაქმება.